



საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის ივნისში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ეხება კანონპროექტების შესაბამისობას ევროკავშირის სამართალთან. ცვლილებიდან გამომდინარე, კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ამასთან, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა დანართი #1, რომელშიც მოცემულია საქართველოს ნორმატიული აქტების პროექტებისა და

მოქმედი ნორმატიული აქტების ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2018 ივნისში საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ცვლილებები ეხება უზრუნველყოფილი სესხების/კრედიტების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებსა და ამ შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში დაწესებულ სანქციებს.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება, ასევე, წყლის, საჰაერო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება. შეზღუდვა არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული კომერციული ბანკის,



მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადებ/დადებულ სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფაზე.

კანონპროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალებით ან/და სასოფლო სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალებით, ასევე, წყლის, საჰაერო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, სავალდებულოა გამსესხებელმა მსესხებელს ფულადი სახსრები გადასცეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. აღნიშნული რეგულაციის დამრღვევი, გაფრთხილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში სამართალდარღვევის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში დაჯარიმდება 10 000 ლარით. იგივე ოდენობის ჯარიმაა დაწესებული უძრავი ქონების ნასყიდობის დროს უნაღდო ანგარიშსწორების წესის დარღვევის შემთხვევაშიც.

მცირდება მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი, რომელიც კანონის ძალაში შესვლის შემდგომ არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს.

ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ფიზიკურ პირზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე) გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან

გამომდინარე მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის ან იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით ან იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის ან იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას. მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმება დაუშვებელია.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს საკასაციო სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საქმე ეხება თბილისში განხორციელებულ უკანონო მშენებლობას. სასამართლოს განმარტებით, კანონი სამართალდამრღვევ პირად არ მოიაზრებს მხოლოდ უძრავი ქონების მესაკუთრეს, სამართალდამრღვევია ის პირი, რომელიც აწარმოებს უკანონო მშენებლობას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი, მაშინ უკანონო მშენებლობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ქონების მესაკუთრეს ან მოსარგებლეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გარდაცვლილია, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური უფლებამოსილი იყო სამშენებლო



სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებინა მშენებლობის მწარმოებელი კონკრეტული პირისათვის, კერძოდ, დამკვეთისა და ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზეა ორივე სამართალდამრღვევის მიმართ სოლიდარულად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, თუმცა მეორე პირის ნაწილში სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა მისი გარდაცვალების გამო. ამდენად, კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მშენებლობის დაწყებისას იგი არ იყო არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრე და არც აწ გარდაცვლილი პირის მემკვიდრე, რიც გამოც ბრალი არ მიუძღვის უკანონო მშენებლობაში, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა
(მეიდან პალასი) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.